

ალექსანდრე კახიძე*

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი პირველი შესწორების ჭრილში - ლემონის ტესტი

ნაშრომში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების (შემდგომში - აშშ) უზენაესი სასამართლოს მიერ, აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ საკითხი, თუ სად გადის ზღვარი სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან აშშ-ში, ჩამოყალიბებული სასამართლო პრეცედენტების სამართლებრივი ანალიზი. ამასთანავე, გამოკვლეულია ჩამოყალიბებული სტანდარტები, რომელებმაც ხელი შეუწყო ათწლეულების განმავლობაში საერო და სასულიერო საქმიანობის დიფერენცირებას.

ნაშრომში ასახულია, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს რელევანტური პრაქტიკა, 1947 წლიდან 2022 წლის კენედი ბრემერტონის სასკოლო ოლქის წინააღმდეგ საქმით. ამის პარალელურად, განიხილება ლემონი კურტცმენის წინააღმდეგ საქმეზე ჩამოყალიბებული „ლემონის ტესტი“, რომელმაც ნახევარსაუკუნოვანი პრაქტიკა შექმნა აშშ-ის კონსტიტუციის ინტერპრეტაციაში, თუმცა 2022 წელს სასამართლოს მიერ გაუქმდა. საბოლოოდ, ყურადღება ექცევა ამ ტესტის გაუქმების შესაძლო შედეგებს, აშშ-ში, როგორც სეკულარულ სახელმწიფოში.

საკვანძო სიტყვები: ლემონის ტესტი, პირველი შესწორება, სეკულარიზმი, რელიგიის თავისუფლება.

1. შესავალი

რელიგიის თავისუფლება გამყარებულია როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე საქართველოს კონსტიტუციებით,¹ თუმცა ამერიკის კონსტიტუციის 1-ელი შესწორება (შემდგომში - პირველი

* სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტი, ედვარდსვილი; ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, საბაკალავრო საფეხურის მე-3 კურსის სტუდენტი.

¹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტი და Constitution of the United States of America, 21/06/1789, First Amendment, Establishment Clause.

შესწორება) ხაზს უსვამს სეკულარიზმს, კერძოდ, კონგრესის მიერ არ უნდა იქნეს მიღებული არცერთი კანონი, რომელიც დააკანონებს რომელიმე რელიგიას, ან ხელს შეუშლის თავისუფალ აღმსარებლობას.”² როგორც თომას ჯეფერსონი აღნიშნავდა, ხსენებული შესწორება წარმოადგენს გამყოფ კედელს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის.³ მართალია, თომას ჯეფერსონმა ეს განცხადება 1802 წელს გააკეთა, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ (შემდგომში “SCOTUS” ან „უზენაესი სასამართლო“) მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრამდე არ მომხდარა რაიმე სტანდარტის შემოღება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სახელმწიფო კანონმდებლობისა თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შეფასებას პირველი შესწორების ფარგლებში.

1954 წელს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა SCOTUS-ის თავმჯდომარედ დანიშნა ერლ უორენი, რომლის მოღვაწეობის პერიოდში მიღებულმა მრავალმა გადაწყვეტილებამ პრეცედენტი შექმნა კონსტიტუციის ინტერპრეტაციასთან მიმართებით.⁴ სწორედ მის მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, 1971 წელს SCOTUS-ის მიერ მიღებულ იქნა ლემონის ტესტი (Lemon Test) იმის გასარკვევად ირღვეოდა თუ არა სახელმწიფო ორგანოების მიერ სეკულარიზმი.⁵ მოცემული ტესტი წარმატებულად გამოიყენებოდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს მიერ, თუმცა 2022 წელს, საქმეში კენედი ბრემერტონის სასკოლო ოლქის წინააღმდეგ (შემდგომში - კენედის საქმე), SCOTUS-მა ლემონის ტესტი უარყო და შემოიღო ახალი - „ისტორიული პრაქტიკისა და აღქმის ტესტი (Historical Practices and Understandings).“⁶

მოცემული სტატიის მიზანია გაანალიზოს ლემონის ტესტის მიღებამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა, თვით ლემონის ტესტის გავლენა

² *კობალაძე ა., ბარამიძე ს., უგრეხელიძე მ. (რედ.)*, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, თბ., 1993, 18.

³ Library of Congress, (2019), Jefferson’s Letter to the Danbury Baptists (1802) - Library of Congress Information Bulletin, <<https://www.loc.gov/loc/lcib/9806/danpre.html>> [09.06.2023, 18:00].

⁴ აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ერლ უორენის მიდგომები დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა მაშინდელ მოსახლეობაში, ამომრჩეველთა ნაწილი აქტიურად ითხოვდა მის გადადგომას. იხ. Wanted for Impeachment: Earl Warren. (1953), DLC Catalog, Columbia University Libraries, <<https://shorturl.at/ILMQR>> [04.05.2023, 13:00].

⁵ *Petersen B. W.*, ‘A Picture Held Us Captive’: Conceptual Confusion and the Lemon Test”, University of Pennsylvania Law Review, vol. 137, no. 5, 1989, 1828.

⁶ საქმე კენედი ბრემერტონის სასკოლო ოლქის წინააღმდეგ; Kennedy v. Bremerton Sch. Dist., (2022), No. 21-418, slip op. at 23 (quoting Town of Greece v. Galloway, (2014), 572 U.S. 565, 576).

ამერიკის შეერთებულ შტატებში სეკულარიზმის დაცვის საკითხებზე და კენედის საქმეში ამ ტესტის გაუქმების შესაძლო შედეგები.

2. ლემონის ტესტის მიღების წინაპირობები

2.1 ევერსონი საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ

უშუალოდ ლემონის ტესტის განხილვამდე, აუცილებელია განვიხილოთ ის წინარე სასამართლო პრაქტიკა, რაც მას დაედო საფუძვლად. „ევერსონი საგანმანათლებლო კომიტეტის წინააღმდეგ“ (შემდგომში - ევერსონის საქმე) იყო 1947 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა ფედერალური ხელისუფლების მიერ მოსწავლეების სკოლებში ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურებას. გარემოებები იყო შემდეგი: 1941 წელს მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე, იუინგში, ნიუ ჯერსის შტატში, საგანმანათლებლო საბჭომ მოსწავლეების მუხობელ ქალაქებში ტრანსპორტირებისათვის დაფინანსება გამოყო, ვინაიდან და რადგანაც თვით იუინგში საშუალო განათლების მისაღებად სასწავლო დაწესებულებები არ მდებარეობდა.⁷

ხსენებული გადაწყვეტილებებით, იუინგის ოლქმა დაიწყო მოსწავლეების ტრანსპორტირების დაფინანსება როგორც საჯარო სკოლებში, ასევე რელიგიურ დაწესებულებებში.⁸ პრობლემური გახდა ეს უკანასკნელი. იუინგის ოლქის მოქალაქე ევერსონმა განაცხადა, რომ მოსწავლეების რელიგიურ სასწავლებლებში ტრანსპორტირების ფედერალური სახსრებით დაფინანსება წარმოადგენდა როგორც ნიუ ჯერსის კონსტიტუციის, ასევე აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევას.

მართალია, მოცემულ საქმეში SCOTUS-მა (5-4) ხმით საგანმანათლებლო საბჭოს გადაწყვეტილება კონსტიტუციურად სცნო,⁹ თუმცა აქვე აღნიშნა, რომ პირველი შესწორება კონსტიტუციის მე-14 დამატების საფუძველზე - „...არც ერთ შტატს არ შეუძლია მიიღოს ან ცხოვრებაში გაატაროს ისეთი კანონი, რომელიც შელახავს შეერთებული შტატების მოქალაქეების პრივილეგიურულ უფლებებს...“ - ყველა შტატზე ვრცელდებოდა.¹⁰ სახელმწიფოსა და რელიგიას შორის კედლის აღმართვის მსგავსმა

⁷ *Petersen B. W.*, "Everson v. Board of Education" and the Quest for the Historical Establishment Clause, *The American Journal of Legal History*, vol. 49, no. 2, 2007, 127.

⁸ იქვე. 128.

⁹ საქმე ევერსონი საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ; *Everson v. Board of Education*, (1947), 330 U. S. 18.

¹⁰ Constitution of the United States of America, 21/06/1789, Fourteenth Amendment, Due Process Clause cited in *Everson v. Board of Education*, (1947), 330 U. S. 8.

მცდელობამ საწყისი დაუდო შემდგომში პირველი შესწორების ფართო ინტერპრეტაციას.¹¹

2.2 მიზან-შედეგობრიობის ტესტი

რამდენიმე ათწლეულის პრაქტიკის დაგროვების შემდგომ, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა ჩვეული ნეიტრალური მიდგომა დაერღვია და აქტიურად დაეწყო იმის გარკვევა, სახელმწიფო აქტორები, საკუთარი ქმედებებით, ხელს ხომ არ უწყობდნენ ან უშლიდნენ რელიგიის განვითარებას.¹² ამის ნათელი მაგალითია მიზან-შედეგობრიობის ტესტი (Purpose-Effect Test).

2.2.1 მეკგოუნი მერილენდის წინააღმდეგ

1960 წელს SCOTUS-ის წინაშე წამოიჭრა საკითხი მერილენდის შტატში კვირაობით მიღებულ აკრძალვებთან დაკავშირებით. კერძოდ, რადგან კვირა მიჩნეული იყო დასვენების დღედ, მაღაზიებს ეკრძალებოდათ აუცილებელი მოხმარების ნივთებისა და მერილენდის კოდექსის შესაბამისად გათვალისწინებული ნივთების გარდა სხვა პროდუქტის გაყიდვა.¹³ მოცემული ნორმების დარღვევის შედეგად რამდენიმე გამყიდველი დააჯარიმეს. მათ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა ჯერ მერილენდის შტატში, შემდგომ კი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს.¹⁴

უზენაესმა სასამართლომ 1961 წელს გამოაქვეყნა საკუთარი მოსაზრება საქმეზე მეკგოუნი მერილენდის წინააღმდეგ (შემდგომში - მეკგოუნის საქმე) და (8-1) ხმით განაცხადა, რომ მერილენდის შტატის ნორმატიული დანაწესები შესაბამისობაში იყო კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან, ხოლო კონსტიტუციურობის დასადგენად გამოიკვლია აქტის მიზანი და შედეგები.¹⁵ სასამართლოს თავმჯდომარისა და მომხსენებელი მოსამართლის, ერლ უორენის აზრით, მართალია კანონთა თავდაპირველი მიზანი რელიგიის ხელშეწყობას წარმოადგენდა, თუმცაღა, თანამედროვეობაში, მისი ძირითადი მიზანი და შედეგი ყოველი მოქალაქისათვის, კვირაობით, რეკრეაციულად, ერთი დღის გამოყოფას წარმოადგენს.¹⁶ როგორც ჩანს, შესაძლებელია ნორმათა შემოღების

¹¹ *Petersen B. W.*, "Everson v. Board of Education" and the Quest for the Historical Establishment Clause, *The American Journal of Legal History*, vol. 49, no. 2, 2007, 120.

¹² საქმე თორქესო ვოტკინსის წინააღმდეგ; *Torcaso v. Watkins*, (1961), 367 U.S. 488, 489.

¹³ მერილენდის კოდექსი წარმოადგენს დღესდღეობით არსებულ ყველა სამართლებრივი დოკუმენტის გაერთიანებას მერილენდის შტატში, *University of Maryland Law Resources*, <<https://shorturl.at/kmEGP>> [10.06.2023, 12:00].

¹⁴ საქმე მეკგოუნი მერილენდის წინააღმდეგ; *McGowan v. Maryland*, (1961), 366 U.S. 420.

¹⁵ *იქვე*. 449.

¹⁶ *იქვე*. 432-434.

პერიოდში მათი ისტორიული მიზანი რელიგიისთვის დახმარების გაწევა ყოფილიყო, თუმცა დღეს-დღეობით მას სეკულარული სახე ჰქონდეს შექმნილი.¹⁷

2.2.2 ენგელი ვიტალის წინააღმდეგ

ზემოთ განხილული საქმიდან 1 წლის შემდეგ, 1962 წელს, ეროლ უორენის თავმჯდომარეობის პერიოდში, SCOTUS-მა მიიღო კიდევ ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება საქმეზე, ენგელი ვიტალის წინააღმდეგ (შემდგომში - ენგელის საქმე). უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნიუ-იორკის შტატში, ნიუ ჰაიდის სასკოლო ოლქის საგანმანათლებლო საბჭოს გადაწყვეტილება, რომელმაც შტატის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, შემოიღო სავალდებულო ლოცვის ტექსტი, რომელიც მოსწავლეებს მასწავლებლის თანდასწრებით ყოველი სასწავლო დღის დასაწყისში უნდა წაეკითხათ.¹⁸ სანამ მოცემული საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდოდა შტატმა შეცვალა კანონმდებლობა და ხსენებულ ლოცვას ნებაყოფლობითი სახე მისცა.¹⁹

მომხსენებელმა მოსამართლემ, ჰუგო ბლექმა, სასამართლო აზრის დაფიქსირებისას საქმის გარემოებები განიხილა ისტორიულ ჭრილში, მოიშველია რა ჯეიმს მედისონის სიტყვები სახელმწიფოსა და რელიგიის გაყოფასთან დაკავშირებით, არაკონსტიტუციურად ცნო როგორც საგანმანათლებლო საბჭოს გადაწყვეტილება, ასევე ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობა, რომელიც ნებას რთავდა საბჭოებს დაეფუძნებინათ მსგავსი პრაქტიკა.²⁰ მოცემულმა მიდგომამ კიდევ უფრო გაზარდა დაშორება

¹⁷ სასამართლომ მეკგოუენის საქმის მსგავსად, იმავე დღეს, სამი სხვა გადაწყვეტილება მიიღო, რომლებიც იზიარებდნენ მეკგოუენის საქმეში ჩამოყალიბებულ მსჯელობას. იხ. საქმეები მეკგოუენი ქოშერის სუპერმარკეტის წინააღმდეგ; McGowan. Gallagher v. Crown Kosher Super Market, Inc., (1961), 366 U.S. 631; ბრონფელდი ბრაუნის წინააღმდეგ; Braunfeld v. Brown, (1961), 366 U.S. 610; ორი ბიჭი ჰარისონ-ალენტაუნიდან მაკგინლის წინააღმდეგ; Two Guys from Harrison-Allentown, Inc. v. McGinley, (1961), 366 U.S. 598. მოცემულ პრაქტიკაზე დაყრდნობით SCOTUS-მა 80-იან წლებში მიიღო ახალი გადაწყვეტილება, სადაც არაკონსტიტუციურად ცნო შტატის კანონმდებლობა, რომელიც დასაქმებულებს სრულ თავისუფლებას აძლევდა აერჩიათ დასვენების წმინდა დღე (Sabbath). მართალია, საჯაროდ კვირა დღის დასვენებად გამოცხადება კონსტიტუციურია, თუმცა დასაქმებულებისათვის არჩევანის მსგავსი თავისუფლების მიცემა არღვევდა სხვათა, მათ შორის, დამსაქმებლის უფლებებს. იხ. საქმე სორთონი კელდორის წინააღმდეგ; Cf. Estate of Thornton v. Caldor, Inc., (1985), 472 U.S. 711.

¹⁸ საქმე ენგელი ვიტალის წინააღმდეგ; Engel v. Vitale, (1962), 370 U.S. 421, 422.

¹⁹ იქვე. 438.

²⁰ იქვე. 436.

სახელმწიფოსა და რელიგიას შორის, რომელიც პირველი შესწორებით იქნა ჩამოყალიბებული.

2.2.3 ებინგტონის დასახლების სასკოლო ოლქი შემპის წინააღმდეგ

ნორმატიული აქტის მიზანსა და შედეგზე უშუალო ყურადღება, მართალია, თავდაპირველად მეკგოუენის საქმეში გამახვილდა, თუმცა მისი კრისტალიზება 1963 წლამდე არ მომხდარა.²¹ საქმეში ებინგტონის სასკოლო ოლქი შემპის წინააღმდეგ (შემდგომში - შემპის საქმე), სასამართლოს მოსაზრებაშივე დაფიქსირდა მიზან-შედეგობრივობის ტესტის შინაარსი, კერძოდ: რა არის ქმედების მიზანი და მისი პირდაპირი შედეგი? თუ რომელიმე მათგანი ხელს უწყობს ან უშლის რელიგიას მაშინ, ის სცდება საკანონმდებლო ხელისუფლების კონსტიტუციით შემოსაზღვრულ მანდატს... იმისათვის, რომ ქმედება პირველი შესწორების ფარგლებში მოექცეს, მას უნდა გააჩნდეს სეკულარული მიზანი და მისი პირდაპირი შედეგი არ უნდა ზღუდავდეს ან ხელს უწყობდეს რელიგიას.²²

2.3 ვოლზი ნიუ-იორკის საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ - ალრევის ტესტი

ერთგვაროვანი ტესტის ჩამოყალიბებისკენ შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1970 წელს, საქმეზე „ვოლზი ნიუ-იორკის საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ“ (შემდგომში - ვოლზის საქმე), სადაც მომჩივანი დავობდა, რომ ნიუ-იორკის შტატის ტერიტორიაზე ეკლესიების გადასახადებისაგან გათავისუფლება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის პირველ შესწორებას.²³ წინარე პრაქტიკაზე დაყრდნობით, უზენაესმა სასამართლომ დაამკვიდრა სახელმწიფო აქტების რელიგიასთან გადაჭარბებული ალრევის ტესტი (Government's Excessive Entanglement with Religion) (შემდგომში - ალრევის ტესტი).²⁴

სახელმწიფო ვალდებულია საკუთარი ქმედებებით არ შელახოს რელიგიური დაწესებულებების თავისუფლება და ავტონომია, რაც ამერიკის

²¹ ენგელის საქმის მსგავსად, ებინგტონის დასახლების სასკოლო ოლქის საქმეც მოსწავლეების მიერ თავდაპირველად სავალდებულო, ხოლო შემდეგ ნებაყოფლობით ლოცვებს შეეხებოდა.

²² საქმე ებინგტონის სასკოლო ოლქი შემპის წინააღმდეგ; *Dist. of Abington Twp. v. Schempp*, (1963), 374 U.S. 203, 222.

²³ საქმე ვოლზი საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ; *Walz v. Tax Commission of the City of New York*, (1970), 397 U.S. 664.

²⁴ *Weber. J. P.*, *Excessive Entanglement: A Wavering First Amendment Standard*, *The Review of Politics*, vol. 46, no. 4, 1984, 483.

კონსტიტუციით არის გარანტირებული, თუმცა საჯარო ინტერესის საგანი ხდება ისეთი რელიგიური დაწესებულებების ხელშეწყობა, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევიან.²⁵ ამდენად, საჭირო ხდება უზენაესმა სასამართლომ შეინარჩუნოს პირველი შესწორებით დაწესებული კონსტიტუციური ბალანსი.

წინარე პერიოდში გამოიყენებული მიზან-შედეგობრიობის ტესტი არ გახდა საკმარისი მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლოს მოსაზრებით, იმისათვის, რომ განესაზღვრათ აქტის კონსტიტუციურობა აუცილებელი იყო „დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ აქტის საბოლოო შედეგი არ გამოიწვევდა სახელმწიფო საქმიანობის რელიგიასთან გადაჭარბებულ აღრევას“.²⁶ აქვე აღსანიშნავია სიტყვა „გადაჭარბებული“ (Excessive). SCOTUS-მა დაიტოვა ლავირების საშუალება ისეთი შემთხვევებისთვის, როცა სახელმწიფო ინტერესების რელიგიურ ინტერესებთან აღრევა მოხდებოდა, თუმცა ეს არ იქნებოდა საგრძნობი. ამავე აზრზეა მოსამართლე უილიამ ბრენანი, რომელმაც შემპის საქმეზე დააფიქსირა და ვოლზის საქმეზე თანმხვედრ მოსაზრებაში მოიშველია შემდგომი ციტატა: „ხაზი რომელიც უნდა გაევიდეს დასაშვებსა და დაუშვებელ [ჩარევას] შორის უნდა შეესაბამებოდეს ისტორიას და სწორად ასახავდეს დამფუძნებელი მამების აღქმას...შესაძლებელია არსებობდეს მრავალი შემთხვევა, სადაც სახელმწიფო საქმიანობა რელიგიურთან გადაიკვეთება, თუმცა საშიშროების დაბალი დონის გამო ასეთი ქმედებებით არ დაირღვევა პირველი შესწორება.“²⁷

3. ათწლოვანი პრაქტიკის ერთ საქმეში გაერთიანება

ევერსონის საქმით SCOTUS-მა ხაზი გაუსვა საკუთარ ლეგიტიმაციას კონსტიტუციის პირველი შესწორების განხილვისას და აშშ-ის კონსტიტუციის მე-14 შესწორების საფუძველზე ქვეყნის ყველა შტატი დაავალდებულა დაეცვა რელიგიასა და სახელმწიფოს შორის არსებული ზღვარი. როგორც მოსამართლეთა უმცირესობამ იმავე საქმეში აღნიშნა: „ეს არ ყოფილა... უბრალო საქმე ავტობუსების გადასახადთან დაკავშირებით“,²⁸ მან

²⁵ *Kauper G. P.*, The Walz Decision: More on the Religion Clauses of the First Amendment, *Michigan Law Review*, vol. 69, no. 2, 1970, 210.

²⁶ საქმე ვოლზი საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ; *Walz v. Tax Commission of the City of New York*, (1970), 397 U.S. 664, 674.

²⁷ საქმე ებინგტონის სასკოლო ოლქი შემპის წინააღმდეგ; *Dist. of Abington Twp. v. Schempp*, (1963), 374 U.S. 203, 230.

²⁸ *Formicola R. J.*, Everson Revisited: "This Is Not . . . Just a Little Case over Bus Fares", *Polity*, vol. 28, no. 1, 1995, 49 და საქმე ევერსონი საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ; *Everson v. Board of Education*, (1947), 330 U. S. 1, 57, (Rutledge J., dissenting).

საფუძველი ჩაუყარა აშშ-ში მრავალწლოვან დავას იმის შესახებ თუ სად უნდა გადიოდეს ზღვარი რელიგიასა და სახელმწიფოს შორის. ამ კითხვას ნახევარსაუკუნოვანი პასუხი ლემონი კურტცმენის წინააღმდეგ საქმით (შემდგომში - ლემონის საქმე) გაეცა.

3.1 ლემონი კურტცმენის წინააღმდეგ - ფაქტობრივი გარემოებები

1968 და 1969 წლებში როდ-აილენდისა და პენსილვანიის შტატების კანონმდებლებმა მიიღეს მსგავსი ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზეც რელიგიური სასწავლებლების ნაწილობრივი დაფინანსება სახელმწიფო სახსრებით ხდებოდა.²⁹ როდ-აილენდის კანონმდებლობის საფუძველზე მოხდა იმ მასწავლებელთა ხელფასის 15%-ის კომპენსირება, რომლებიც მუშაობდნენ არასაჯარო სასწავლებლებში, თუმცა ასწავლიდნენ მხოლოდ იმ საგნებს და იყენებდნენ იმ მასალებს, რომლებიც საჯარო სკოლებში ნებადართული იყო. ამასთანავე, მათ არ უნდა ესწავლებინათ რელიგიური საგნები. როგორც სამ მოსამართლიანმა კოლეგიამ დაადგინა, როდ-აილენდის დაწყებითი განათლების მოსწავლეთა დაახლოებით 25% სწავლობდა არასაჯარო სკოლებში, ხოლო მათგან 95% დადიოდა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან აფილირებულ დაწესებულებებში. აგრეთვე, მასწავლებელთა ერთადერთი ჯგუფი, რომელიც განსახილველი ნორმატიული აქტის საფუძველზე სარგებელს იღებდა, რომაული კათოლიკური ეკლესიის სასწავლებლებში მუშაობდა.³⁰ მსგავსი სიტუაცია იყო პენსილვანიის შტატშიც.³¹ არსებული ნორმატიული აქტები ადგილობრივმა გადასახადების გადამხდელებმა გაასაჩივრეს შტატის დონეზე. ვინაიდან და რადგანაც როდ-აილენდის ფედერალურმა სასამართლომ შტატის კანონმდებლობა არაკონსტიტუციურად ცნო, ხოლო პენსილვანიამ კონსტიტუციის დარღვევა ვერ დაადგინა, SCOTUS-მა გამოსცა *certiorari*, რათა შეექმნა ერთგვაროვანი პრაქტიკა.

3.2 ლემონის ტესტი

1940-იანი წლებიდან დაწყებული ვითარდებოდა სტანდარტები, რომელთა საფუძველზეც რელიგიისა და სახელმწიფოს განცალკევება უნდა მომხდარიყო, თუმცა არც ერთი მათგანი, ცალკე აღებული, საკმარისი არ იყო. პირველად, მეკგოუნის საქმეში ხაზი გაესვა ნორმატიული აქტების მიზნებისა და საბოლოო შედეგების მნიშვნელობას, ენგელის საქმეზე კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ხელისუფლებისა და რელიგიის დაყოფას,

²⁹ საქმე ლემონი კურტცმენის წინააღმდეგ; *Lemon v. Kurtzman*, (1971), 403 U.S. 602.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე. 602, 603.

შემპის საქმეში ჩამოყალიბდა მიზან-შედეგობრიობის, ხოლო ვოლზის საქმეში აღრევის ტესტები. ყველა ზემოთაღნიშნული სტანდარტი ლემონის საქმეში SCOTUS-მა გააერთიანა ერთ, სამკრიტერიუმთან ტესტში, რომელიც ლემონის ტესტის სახელით არის ცნობილი.³² ის შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან, რომელთა განხილვაც თანმიმდევრობით მოხდება.

3.2.1 საზოგადოებრივი მიზნის ქონა

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება უნდა ატარებდეს საზოგადო, არარელიგიურ ხასიათს (Secular Purpose). ის არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე რელიგიის/რელიგიური ჯგუფის ხელშეწყობის საშუალებას.³³ მოცემული კრიტერიუმი უკვე მიღებული პრაქტიკა იყო ჯერ კიდევ ვოლზის საქმის განხილვისას,³⁴ შესაბამისად, მისი ლემონის ტესტში გაერთიანებაც მოულოდნელობას არ წარმოადგენდა. რელიგიური დაწესებულებების არაპირდაპირი, იშვიათი დაფინანსება მიღებული იყო მაშინ, როცა მთელი პროგრამა საჯარო ხასიათს ატარებდა, ხოლო რელიგიისადმი დახმარება ამ საჯარო მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენდა.

3.2.2 პირდაპირი შედეგი

საზოგადო მიზნის ქონის აუცილებლობასთან ერთად განიხილებოდა სახელმწიფო აქტორების ქმედებების პირდაპირი შედეგი (Primary Effect). როგორც წინარე SCOTUS-ის პრაქტიკაში გამოიკვეთა, სახელმწიფო ქმედების პირდაპირი შედეგი ხელს არ უნდა უწყობდეს ან უშლიდეს რელიგიურ დაწესებულებებს.³⁵

3.2.3 სახელმწიფო აქტების რელიგიასთან აღრევა

როგორც ვოლზის საქმეში აღინიშნა, ხელისუფლების მიერ მიღებული აქტები გადაჭარბებულად არ უნდა გადაიხლართოს რელიგიასთან.³⁶ მოცემული კრიტერიუმი აღმოჩნდა ის წყალგამყოფი, რომელმაც პენსილვანიის შტატის მიერ მიღებული კანონმდებლობა

³² *Weber. J. P.*, Excessive Entanglement: A Wavering First Amendment Standard, *The Review of Politics*, vol. 46, no. 4, 1984, 484.

³³ საქმე ლემონი კურტცმენის წინააღმდეგ; *Lemon v. Kurtzman*, (1971), 403 U.S. 602, (quoting *Board of Education v. Allen*, (1968), 392 U. S. 236, 243).

³⁴ *Kauper G. P.*, The Walz Decision: More on the Religion Clauses of the First Amendment, *Michigan Law Review*, vol. 69, no. 2, 1970, 182.

³⁵ იხ. საქმე საგანმანათლებლო საბჭო ალენის წინააღმდეგ; *Board of Education v. Allen*, (1968), 392 U. S. 236, 243; საქმე ებინგტონის სასკოლო ოლქი შემპის წინააღმდეგ; *Dist. of Abington Twp. v. Schempp*, (1963), 374 U.S. 203, 222.

³⁶ საქმე ვოლზი საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ; *Walz v. Tax Commission of the City of New York*, (1970), 397 U.S. 674.

არაკონსტიტუციურად ცნო.³⁷ სასამართლო დაეთანხმა კურცმენს, დაცვის მხარეს, პირველ ორ კრიტერიუმში.³⁸ პენსილვანიის შტატის მიერ გაწეული დახმარება საზოგადო ხასიათს ატარებდა, რადგან ის მიმართული იყო საჯარო დაწესებულებებში განათლების დონის ამაღლებისაკენ და გარკვეული „არარელიგიური მომსახურების“ შექმნისაკენ, რაც დაეხმარებოდა ამ სკოლებს. მოცემული არც პირდაპირ გავლენას ახდენდა სასულიერო თუ საჯარო დაწესებულებებზე. განხილვის საგანი სახელმწიფო აქტორების რელიგიურ დაწესებულებებთან აღრევა გახდა.

მართალია, რელიგიური აფილაციებისაგან სრულიად განცალკევებული ურთიერთობის მიღება შეუძლებელია,³⁹ თუმცა უნდა მოხდეს ზღვრის დაცვა. მომხსენებელი მოსამართლე, უორენ ბერგერის მიერ გადმოცემული სასამართლო გადაწყვეტილებით, ისეთ ოლქში, სადაც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების 25% რელიგიურ დაწესებულებებში სწავლობდა, ამ სასწავლებლების დაფინანსებას სახელმწიფოს მიერ შესაძლოა მომავალში პოლიტიკური ხასიათი მიეღო,⁴⁰ ხოლო ის ფაქტი, რომ პენსილვანიის შემთხვევაში სახელმწიფო დაფინანსება პირდაპირ რელიგიური სასწავლებლების ბიუჯეტში ირიცხებოდა, ხელისუფლების აქტების რელიგიასთან აღრევის ფაქტზე მეტყველებდა.⁴¹

3.3 ტესტის პრაქტიკაში დამკვიდრება

1971 წელს მიღებული სამკრიტერიუმიანი ლემონის ტესტი სრული ნახევარი საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოდა SCOTUS-ის მიერ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შესაფასებლად. 1947 წელს დაწყებული კონსტიტუციური ინტერპრეტაციების კასკადი, საბოლოოდ, 1971 წლის ლემონის საქმით სრულყოფილ იქნა. თუმცა მოცემულმა ტესტმა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასებები დაიმსახურა.⁴² მიუხედავად ყველაფრისა, მოცემული სტანდარტის საფუძველზე თომას

³⁷ საქმე ლემონი კურტცმენის წინააღმდეგ; *Lemon v. Kurtzman*, (1971), 403 U.S. 602, 613-614.

³⁸ იქვე.

³⁹ საქმე ზორაქი ქლოზენის წინააღმდეგ; *Zorach v. Clauson*, (1952), 343 U. S. 312; Opinion of the Court: “The First Amendment, however, does not say that in every and all respects there shall be a separation of Church and State. Rather, it studiously defines the manner, the specific ways, in which there shall be no concert or union or dependency one on the other.”

⁴⁰ საქმე ლემონი კურტცმენის წინააღმდეგ; *Lemon v. Kurtzman*, (1971), 403 U.S. 602, 622.

⁴¹ იქვე. 621.

⁴² იხ. *Robbins T.*, "Quo Vadis" the Scientific Study of New Religious Movements?, *Journal for the Scientific Study of Religion*, vol. 39, no. 4, 2000, 350. დეიტონის უნივერსიტეტის პროფესორი, ჩარლზ ჯეი რუსო, დავობს, რომ უზენაეს სასამართლოს მოცემული ტესტის შემოღებისას არ აუხსნია ის თუ რატომ იყო ლემონის ტესტი უნივერსალურად მისადაგებული პირველი შესწორების როგორც სეკულარიზმის, ასევე რელიგიის თავისუფლების ნაწილის ინტერპრეტაციასთან.

ჯეფერსონის მიერ მოაზრებული „კედელი“ ქვეყნის საერო და სასულიერო ნაწილს შორის მყარად იყო აღმართული.

4. ნახევარსაკუთრის პრაქტიკის დასასრული

4.1 კენედი ბრემერტონის სასკოლო ოლქის წინააღმდეგ

უზენაესმა სასამართლომ უკანასკნელ პერიოდში დაიწყო კონსერვატიული მიდგომების გამოყენება, რაც უპირველესად რო ვეიდის წინააღმდეგ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებით წარმოჩნდა,⁴³ თუმცა ის მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა და ხსენებული გადაწყვეტილებიდან 3 დღის შემდეგ, მიიღო ახალი გადაწყვეტილება საქმეზე კენედი ბრემერტონის სასკოლო ოლქის წინააღმდეგ, სადაც ოფიციალურად გააუქმა ლემონის ტესტი.⁴⁴ სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს სტანდარტი იყო მეტად აბსტრაქტული და ისტორიულ ინტერპრეტაციას მოკლებული, რაც უკვე იმდენად აშკარა იყო, რომ სასამართლომ დიდი ხნის წინ მიატოვა მისი გამოყენება.⁴⁵

საქმის გარემოებები იყო შემდეგი: ბრემერტონის სასკოლო ოლქში მომუშავე მწვრთნელი - ჯოზეფ კენედი - ყოველი თამაშის წინ მის გუნდს რელიგიური სახის ლოცვებს უკითხავდა, ხოლო უშუალოდ თამაშების შემდეგ სტადიონის ცენტრში დგებოდა, როგორც ერთგვარი ლიდერი, ხოლო მისი გუნდის წევრები მის გარშემო მუხლს იდრეკდნენ. სასკოლო ოლქის გაფრთხილების შემდეგ კენედიმ შეწყვიტა გუნდური „ლოცვები“, თუმცა თვითონ განაგრძო მუხლის მოდრეკა თამაშების შემდეგ სტადიონის ცენტრში, რასაც პირველი შესწორებით, მისი რელიგიის თავისუფლების გამოყენება უწოდა.⁴⁶ ის დავობდა, რომ თამაშის დასრულების შემდგომ ავტომატურად ტოვებდა სამუშაო პოზიციას და იყენებდა საკუთარ თავისუფალ დროს.

კენედის აზრით, ბრემერტონის სასკოლო ოლქი, მის რელიგიის თავისუფლებას ზღუდავდა. უზენაესმა სასამართლომ მისი პოზიცია გაიზიარა. დაადგინა, რომ თამაშების დასრულების შემდგომ, უმაღლვე, ის სამსახურეობრივ ვალდებულებებს აღარ ასრულებდა და მას თავისუფლად

⁴³ საქმე დობსი ქალთა ჯანმრთელობის ორგანიზაციის წინააღმდეგ; *Dobbs v. Jackson Women's Health Organization*, (2022), 597 U. S. 79.

⁴⁴ საქმე კენედი ბრემერტონის სასკოლო ოლქის წინააღმდეგ; *Kennedy v. Bremerton Sch. Dist.*, (2022), 597 U.S. 22. აღსანიშნავია, რომ ლემონის საქმე 1971 წლის 28 ივნისს გადაწყდა, რამაც ნაყოფად ლემონის ტესტი დაგვიტოვა, ხოლო მისი დასასრული 51 წლის მიღწევამდე ერთი დღით ადრე, 2022 წლის 27 ივნისს დადგა.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იქვე. 1.

შეეძლო ლოცვა ათასობით დამსწრეს წინაშე.⁴⁷ SCOTUS-ი მხოლოდ ამ ფაქტს არ დასჯერდა და კენედის უფლების დარღვევის აღიარებასთან ერთად გააუქმა ლემონის ტესტი, რომელიც ახალი სტანდარტით შეცვალა.

4.2 ისტორიული პრაქტიკისა და აღქმის ტესტი

სასამართლოს აზრით, იმის გასარკვევად ირღვევა თუ არა კონსტიტუციის პირველი შესწორება, ლემონის ტესტის ნაცვლად მეტი ყურადღება უშუალო ისტორიულ პრაქტიკასა და აღქმას უნდა მიექცეს. ამით, ფაქტობრივად მოხდა პირველი შესწორების კონსტიტუციური ინტერპრეტაციის განვითარების საწყის ეტაპზე დაბრუნება. ისტორიული პრაქტიკის კონოტაცია პირველად ევერსონის საქმეში შემოვიდა იმის ხაზგასასმელად, რომ დამფუძნებელ მამებს სურდათ რელიგიური ორგანიზაციები და სახელმწიფო ერთმანეთის საქმეებში არ ჩარეულიყვნენ.⁴⁸ კენედის საქმემ სრულიად შეცვალა ეს მიდგომა, სასამართლოს უმრავლესობამ ისტორიული კონტექსტიდან მხოლოდ ის ეპიზოდები ამოკრიბა, რაც მათ პოზიციას გაამყარებდა და ლემონის ტესტის გაუქმებით საფუძველი გამოაცალა ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ლემონის საქმის „განშტოებ(ებ)ად“ მოიხსენიებს.⁴⁹ ასეთი მიდგომა უფრო მეტ კითხვის ნიშანს გააჩენს ქვედა ინსტანციის მოსამართლეთათვის, ვიდრე ამჟამად არსებობს.⁵⁰

5. დასკვნა

50 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკის ერთი ხელის მოსმით გაუქმებას, რა თქმა უნდა, მოჰყვება შესაბამისი გამოძახილი სასამართლო პრაქტიკაში. საინტერესოა რა მოხდება თუ სასამართლოს მოუწევს იმ წინარე გადაწყვეტილებების გადახედვა, რომლებიც ლემონის ტესტზე დაყრდნობით იყო გამოტანილი ბოლო 50 წლის განმავლობაში. ასე, მაგალითად 2000 წელს SCOTUS-მა მიიღო გადაწყვეტილება სანტა-ფეს სასკოლო ოლქის საქმეზე, სადაც (6-3) ხმით არაკონსტიტუციურად ცნო

⁴⁷ იქვე. 32.

⁴⁸ საქმე ევერსონი საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ; *Everson v. Board of Education*, (1947), 330 U. S. 12.

⁴⁹ საქმე კენედი ბრემერტონის სასკოლო ოლქის წინააღმდეგ; *Kennedy v. Bremerton Sch. Dist.*, (2022), 597 U.S. (Sotomayor S., dissenting).

⁵⁰ იხ. *Goetz R. S., Luchenitser J. A., A Hollow History Test: Why Establishment Clause Cases Should Not Be Decided through Comparisons with Historical Practices*, *Catholic University Law Review*, vol. 68, no. 4, 2019, 654. ჯერ კიდევ 2019 წელს იყო გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა პრობლემები შეიძლება წამოჭრას ისტორიული პრაქტიკის საფუძველზე დამყარებულმა ინტერპრეტაციამ.

ყოველი საფეხბურთო თამაშის წინ სტუდენტთა კომიტეტისგან არჩეული მოსწავლის მიერ საჯარო გამოცხადების საშუალებებით წაკითხული ლოცვები.⁵¹ თუმცა მას შემდგომ, უკვე მრავალი გარემოება შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა, მაშინდელი უმცირესობის წევრი ერთ-ერთი მოსამართლე - თომას ქლარენსი - 2022 წელს სასამართლოს უმრავლესობის მხარეს არის აღმოჩენილი. ამასთან, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ დღესდღეობით მოქმედი 9 მოსამართლისგან 6 რესპუბლიკელი პრეზიდენტის მიერ არის დანიშნული, ხოლო 3 დემოკრატის.⁵² ეს ხმების ბუსტად ის თანაფარდობაა, რითაც გააუქმეს რო ვეიდის წინააღმდეგ გადაწყვეტილება და ლემონის ტესტი. უახლოეს მომავალში ამ ტენდენციის ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

ისტორიული პრაქტიკისა და აღქმის ტესტი უზენაესი სასამართლოს დონეზე ჯერჯერობით ხელახლა არ გამოყენებულა, თუმცა ამჟამინდელი კონსერვატიული ტენდენციები სპეკულირების საშუალებას იძლევა.⁵³

მიზან-შედეგობრიობის და აღრევის ტესტების პრაქტიკით გამყარებული ლემონის ტესტი, რომელიც ორივე ზემოთ აღნიშნულს აერთიანებდა, წარმოადგენდა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის მყარ „კედელს“, როგორც ამას თომას ჯეფერსონი აღნიშნავდა,⁵⁴ თუმცა SCOTUS-ის უკანასკნელი პრაქტიკა, ჯეფერსონისეულ კედელს იგივე ბედს უმზადებს, რაც ბერლინისას ეწია.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995;
2. *კობალაძე ა., ბარამიძე ს., უგრეხელიძე მ. (რედ.)*, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, თბ., 1993;
3. Constitution of the United States of America, 21/06/1789;
4. *Kaufman R., et al*, Global impacts of Dobbs v. Jackson Women’s Health Organization and abortion regression in the United States, Sexual and Reproductive Health Matters, vol. 30, no. 1, 2022;

⁵¹ საქმე სანტა ფეს სასკოლო ოლქი დოუს წინააღმდეგ; *Santa Fe Independent School District v. Doe*, (2000), 530 U.S. 290, 318.

⁵² United States Senate. U.S. Senate: Supreme Court Nominations (1789-Present). <<https://shorturl.at/dfmM1>> [05.06.2023, 10:00].

⁵³ *Kaufman R., et al*, Global impacts of Dobbs v. Jackson Women’s Health Organization and abortion regression in the United States, Sexual and Reproductive Health Matters, vol. 30, no. 1, 2022, 26.

⁵⁴ Library of Congress, (2019), Jefferson’s Letter to the Danbury Baptists (1802) - Library of Congress Information Bulletin, <<https://www.loc.gov/loc/lcib/9806/danpre.html>> [09.06.2023, 18:00].

5. *Goetz R. S., Luchenitser J. A.*, A Hollow History Test: Why Establishment Clause Cases Should Not Be Decided through Comparisons with Historical Practices, *Catholic University Law Review*, vol. 68, no. 4, 2019;
6. *Petersen B. W.*, "Everson v. Board of Education" and the Quest for the Historical Establishment Clause, *The American Journal of Legal History*, vol. 49, no. 2, 2007;
7. *Robbins T.*, "Quo Vadis" the Scientific Study of New Religious Movements?, *Journal for the Scientific Study of Religion*, vol. 39, no. 4, 2000;
8. *Formicola R. J.*, Everson Revisited: "This Is Not . . . Just a Little Case over Bus Fares", *Polity*, vol. 28, no. 1, 1995;
9. *Petersen B. W.*, 'A Picture Held Us Captive': Conceptual Confusion and the Lemon Test", *University of Pennsylvania Law Review*, vol. 137, no. 5, 1989;
10. *Weber. J. P.*, Excessive Entanglement: A Wavering First Amendment Standard, *The Review of Politics*, vol. 46, no. 4, 1984;
11. *Kauper G. P.*, The Walz Decision: More on the Religion Clauses of the First Amendment, *Michigan Law Review*, vol. 69, no. 2, 1970;
12. Library of Congress, (2019), Jefferson's Letter to the Danbury Baptists (1802) - Library of Congress Information Bulletin, <<https://www.loc.gov/loc/lcib/9806/danpre.html>> [09.06.2023, 18:00];
13. University of Maryland Law Resources, <<https://shorturl.at/kmEGP>> [10.06.2023, 12:00];
14. Wanted for Impeachment: Earl Warren. (1953), DLC Catalog, Columbia University Libraries, <<https://shorturl.at/ILMQR>> [04.05.2023, 13:00];
15. United States Senate. U.S. Senate: Supreme Court Nominations (1789-Present). <<https://shorturl.at/dfmM1>> [05.06.2023, 10:00];
16. საქმე კენედი ბრემერტონის სასკოლო ოლქის წინააღმდეგ; *Kennedy v. Bremerton Sch. Dist.*, (2022), 597 U.S.;
17. საქმე დობსი ქალთა ჯანმრთელობის ორგანიზაციის წინააღმდეგ; *Dobbs v. Jackson Women's Health Organization*, (2022), 597 U. S.;
18. საქმე სანტა ფეს სასკოლო ოლქი დოუს წინააღმდეგ; *Santa Fe Independent School District v. Doe*, (2000), 530 U.S.;
19. საქმე სორტონი კელდორის წინააღმდეგ; *Cf. Estate of Thornton v. Caldor, Inc.*, (1985), 472 U.S.;
20. საქმე ლემონი კურტცმენის წინააღმდეგ; *Lemon v. Kurtzman*, (1971), 403 U.S.;
21. საქმე ვოლზი საგადასახადო კომისიის წინააღმდეგ; *Walz v. Tax Commission of the City of New York*, (1970), 397 U.S.;
22. საქმე საგანმანათლებლო საბჭო ალენის წინააღმდეგ; *Board of Education v. Allen*, (1968), 392 U.S.;
23. საქმე ებინგტონის სასკოლო ოლქი შემპის წინააღმდეგ; *Dist. of Abington Twp. v. Schempp*, (1963), 374 U.S.;
24. საქმე ენგელი ვიტალის წინააღმდეგ; *Engel v. Vitale*, (1962), 370 U.S.;
25. საქმე თორქესო ვოტკინსის წინააღმდეგ; *Torcaso v. Watkins*, (1961), 367 U.S.;
26. საქმე მეკგოუენი მერილენდის წინააღმდეგ; *McGowan v. Maryland*, (1961), 366 U.S.;

27. საქმე მეკგოუენი ქოშერის სუპერმარკეტის წინააღმდეგ; McGowan. Gallagher v. Crown Kosher Super Market, Inc., (1961), 366 U.S.;
28. ბრონფელდი ბრაუნის წინააღმდეგ; Braunfeld v. Brown, (1961), 366 U.S.;
29. საქმე კომპანია ჰარისონ-ალენტაუნიდან მაკგინლის წინააღმდეგ; Two Guys from Harrison-Allentown, Inc. v. McGinley, (1961), 366 U.S.;
30. საქმე ზორაქი ქლოზენის წინააღმდეგ; Zorach v. Clauson, (1952), 343 U.S.;
31. საქმე ევერსონი საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ; Everson v. Board of Education, (1947), 330 U.S.

Aleksandre Kakhadze*

The Lemon Test: Analysis of the United States Supreme Court's Practice within the Scope of the First Amendment

This article reviews the Supreme Court of the United States' recent cases concerning the interpretation of the Establishment Clause. In particular, it focuses on the cases concerning the boundaries between government and religion. The article aims to analyze the precedents starting from the latter half of the 20th century, specifically the tests and standards developed to separate the state from the church. The paper discusses the practices before and after the landmark *Lemon v. Kurtzman* decision, which established the Lemon Test, up until the *Kennedy v. Bremerton School District* case in 2022.

The research examines the Secular Purpose, Primary Effect, and Excessive Entanglement tests introduced by the Supreme Court in the 1950s and 1960s, ultimately concluding with the Lemon Test. However, the introduction of the "Historical Practices and Understandings" in *Kennedy v. Bremerton School District* raises crucial questions. This paper aims to discuss the possible outcomes of future Establishment Clause cases based on the current state of affairs.

Keywords: Lemon Test, First Amendment, Establishment Clause, Freedom of Religion

* Southern Illinois University, Edwardsville; Faculty of Arts and Sciences, 3rd Year of Bachelor's Studies